საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

2022-2023 წწ.

თბილისი

18.08.2023

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

გეგმების შესრულება 3

სტრატეგიული მიზანი 1. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება 3

პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები: 4

სტრატეგიული მიზანი 2. კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარება 5

მეორე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები: 5

სტრატეგიული მიზანი 3. კოლეჯის პოპულარიზაცია 6

მესამე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები: 7

სტრატეგიული მიზანი 4. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება 7

მეოთხე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები: 8

დეტალური ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ 9

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის **2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის** შესრულების წლიურ ანგარიშის ფარგლებში.

გეგმების შესრულება

სამოქმედო გეგმა დაყოფილი იყო სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

სტრატეგიული მიზანი 1. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება

აღნიშნულის ფარგლებში, დაწესებულებამ:

- განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სამ პროგრამაზე:
  - ფრონტენდ დეველოპმენტი (მომზადება);
  - ფრონტენდ დეველოპმენტი (გადამზადება);
  - ბექენდ დეველოპმენტი (მომზადება).
- კოლეჯის პროფესიული სტუდენტების **ზღვრული რაოდენობა გაიზარდა 180-მდე.** ადგილები გაზარდა სამ პროგრამაზე:
  - ვებტექნოლოგიები - 30 ადგილიდან 60 ადგილამდე;
  - კომპიუტერული ქსელი და სისტემები - 15 ადგილიდან 60 ადგილამდე;
  - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება - 15 ადგილიდან 60 ადგილამდე.
- დაიმატა სამი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
  - ღონისძიების ორგანიზება;
  - საოფისე საქმე;
  - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გახდა პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ პრგორამას.
- საჯარო და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, მოიპოვა **კიბერუსაფრთხოების** გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება. აღნიშნულ სფეროში, კოლეჯი არის **ერთადერთი** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განახორციელებს მოკლევადიან გადამზადების პროგრამას.
- ჩატარდა **პირველი საკვალიფიკაციო გამოცდები** დუალური პროგრამის ფარგლებში:
  - კომპიუტერული ქსელი და სისტემები, 2021 წლის მიღება
  - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება, 2021 წლის მიღება
- კვალიფიკაცია მიენიჭა 21 კურსდამთავრებულს.
- ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელობით, ჩატარდა ვერიფიკაცია, რომლის ფარგლებში ჯამში შემოწმდა 44 შეფასების ინსტრუმენტი და 175 მტკიცებულება. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, გაუმჯობესდა შეფასების

ინსტრუმენტის ფორმა, შემუშავდა განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გაფორმების ფორმა. ვერიფიკაცია ჩატარდა სამი პროფესიული პროგრამის ფარგლებში:
  - ვებტექნოლოგიები;
  - კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
  - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება.
- შეიქმნა შეფასების ინსტრუმენტების ბანკი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა 50-მდე ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი, სამი პროგრამის ფარგლებში (ვებტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება). აღსანიშნავია, რომ პროცესი კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს.
- ჩატარდა კვლევები შემდეგი მიმართულებით:
  - ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა;
  - აკადემიური პერსონალის კვლევა;
  - სტუდენტების კვლევა.
- განხორციელდა ბაზრის მოკვლევა, ახალი პროგრამების დამატების ფარგლებში. მათ შორის, შედგა სამუშაო შეხვედრა დამსაქმებლებთან/კოლეჯის პარტნიორებთან, ბაზარზე არსებულ ტენდენციებზე სამსჯელოდ.
- პროგრამების განვითარების მიზნით, გარე ინიცირების წერილი გაიგზავნა პროფესიული უნარების სააგენტოში (N01/14, 08.07.2022).

პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები:

- ✓ ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება სამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
- ✓ ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება სამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების გაზრდის შესახებ.
- ✓ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ავტორიზაციის საბჭოს ბრძანება 4 პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაზე.
- ✓ საკვალიფიკაციო გამოცდის მასალები: კომისიის შექმნის ბრძანება, საგამოცდო საკითხების შემუშავების ოქმი, საგამოცდო საკითხები, კომისიის ოქმი შედეგების შესახებ.
- ✓ სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი კვალიფიკაციის მინიჭებაზე; კვალიფიკაციის მინიჭების ბრძანებები.
- ✓ ვერიფიკაციის მასალები: ჯგუფის შექმნის ბძანება, ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი, ვერიფიკაციის დასკვნები, ვერიფიკაციის ანგარიში, ვერიფიკაციის შედეგების გაცნობის პრეზენტაცია.
- ✓ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები.
- ✓ კვლევის ანგარიშები: ადმინისტრაციის კვლევა, მასწავლებლების კვლევა, სტუდენტების კვლევა.
- ✓ მოკვლევის ანგარიში, რომელიც გამოყენებულ იქნა პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთებისთვის, დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში, დასწრების ფურცელი.
- ✓ უნარების სააგენტოში გაგზავნილი კორესპონდენცია, ინიცირების წერილი.

სტრატეგიული მიზანი 2. კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარება

აღნიშნულის ფარგლებში, დაწესებულებამ:

- მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორია და აღიჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სამი ახალი პროგრამის ფარგლებში:
  - ღონისძიების ორგანიზება;
  - საოფისე საქმე;
  - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი.
- ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვისა და მასწავლებლებისთვის ჩატარდა სახანძრო ინსტრუქტაჟი.
- სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლების მიზნით, ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარდა:
  - ტრენინგი მასწავლებლებისთვის შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების საკითხებში;
  - ტრენინგი, კიბერუსაფრთხოების გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებისთვის.
- გარე პროვაიდერების მიერ (პროფესიული უნარების სააგენტო), ჩატარდა ტრენინგი მასწავლებლებისთვის „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში“.
- კოლეჯმა მოიპოვა დაფინანსების დამატებითი წყაროები. პროფესიული უნარების სააგენტოსგან მოიპოვა დაფინანსება სამი მოკლევადიანი პროგრამის განხორციელებაზე, რომლებზე სწავლაც დაიწყება სექტემბრის დასაწყისში:
  - ფრონტენდ დეველოპმენტი (მომზადება);
  - ფრონტენდ დეველოპმენტი (გადამზადება);
  - ბექენდ დეველოპმენტი (მომზადება).

მეორე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები:

- ✓ მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტები).
- ✓ ჩატარებული ინსტრუქტაჟის ფოტო მასალა, პერსონალის მიერ ხელმოწერილი ჟურნალი.
- ✓ ტრენინგების მასალები: ტრენინგის თემატიკა, დასწრების ფურცლები.
- ✓ უნარების სააგენტოს მეილი, დადასტურების მეილი და შევსებული ფორმა მასწავლებლების დასწრების შესახებ, სააგენტოს სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოები (სოციალური ქსელის ბმული https://www.facebook.com/photo/?fbid=258067850253387&set=pcb.258074266919412).
- ✓ მოკლევადიანი პროგრამების დაფინანსების ბრძანება უნარების სააგენტოსგან.

სტრატეგიული მიზანი 3. კოლეჯის პოპულარიზაცია

აღნიშნულის ფარგლებში, დაწესებულებამ:

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები 8 ახალ პარტნიორთან:
  - შპს „მბს“ - პროგორამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით;
  - შპს „გრინ სისტემს“ - პროგორამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით;
  - შპს „ორიენტ ლოჯიკი“ - პროგორამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით;
  - შპს „ჯი თი ჯგუფი“ - პროგორამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით;
  - შპს „პისი ქორნერ“ - პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო ექსკურსიების განხორციელების, სტაჟირება/დასაქმების მიზნით;
  - შპს „სოფთლაინ საქართველო“ - პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო ექსკურსიების განხორციელების, სტაჟირება/დასაქმების მიზნით;
  - შპს „მოზაიკა პლიუსი“ - ღონისძიების ორგანიზების პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით;
  - შპს „ივენთს ენდ მორ“ - ღონისძიების ორგანიზების პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის ობიექტად თანამშრომლობის მიზნით.
- საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ უნივერსიტეტს, Norwich University-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი კვლევების განხორციელება.
- კოლეჯის პროფესიული მასწავლებლის ხელმძღვანელობით განხორციელდა საჯარო ლექცია „მობილური აპლიკაციების შექმნაზე, მის ძირითად ამოცანებზე და შედეგებზე“.
- ჩატარდა ყოველწლიური **კიბერუსაფრთხოების ფესტივალი,** სადაც კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, წარმოდგენილი იყო კოლეჯის შესახებ ინფორმაცია და განთავსებული იყო კოლეჯის ლოგო მთავარ ბანერზე.
- განახლდა და გაუმჯობესდა კოლეჯის კატალოგი.
- კოლეჯის წარმომადგენელი მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემაში, სადაც საუბრობდა კოლეჯისა და პროფესიული განათლების შესახებ (მთავარი არხი, გადაცემა შენი შუადღე).
- საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი არის ერთადერთი კოლეჯი რომელიც გაწევრიანდა Efvet-ის ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სწავლების ხელშეწყობას და საერთაშორისო კონტაქტების დამატებას, როგორც მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების

მიზნით, ასევე სტუდენტების გაცვლით პროგრამაში ჩართვას და სხვადასხვა პროექტებზე ერთობლივ მუშაობას.

- საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა მოიპოვა დაფინანსება USID-ისა და PMC კვლევითი ცენტრის ერთობლივ პროექტში, რომლის საშუალებითაც შეიქმნა კიბერუსაფრთოების გადამზადების პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ერთადერთია საქართველოში რომლის დასრულების შემდეგაც მსმენელს ექნება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

მესამე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები:

- ✓ გაფორმებული მემორანდუმები.
- ✓ ნორვიჩის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი.
- ✓ საჯარო ლექციის შესახებ სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაცია, დაწესებულების სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია ლექციის ჩატარების შესახებ.
  (სოციალური ქსელის ბმულები:
  https://www.facebook.com/photo/?fbid=799773708609435&set=a.200099728576839
  https://www.facebook.com/photo/?fbid=814724043781068&set=pcb.814725343780938)
- ✓ დაწესებულების სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია კიბერუსაფრთხოების ფესტივალის შესახებ (სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/ug.universityofgeorgia/videos/120795834362204).
- ✓ კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული განახლებული კატალოგი (კატალოგის ბმული: https://ugcollege.ge/ka/program_catalog).
- ✓ სოციალურ ქსელში განთავსებული სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერის ბმული (https://www.facebook.com/TvMtavari/videos/719046953132921).

სტრატეგიული მიზანი 4. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება

აღნიშნულის ფარგლებში, დაწესებულებამ:

- დაწესებულებაში პირველად განხორციელდა ფორმალური განათლების აღიარების პროცედურა. ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს, წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, უღიარდა 4 ზოგადი მოდული.
- მოეწყო საინფორმაციო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტებისთვის.
- 2022 წლის მიღების ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის დაიბეჭდა ბრენდირებული მაისურები და ჩანთები.
- პროფესიული სტუდენტებისთვის დაიგზავნა საახალწლო საჩუქრები.
- სტუდენტების მხარდაჭერის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა კოლეჯის დირექტორსა და სტუდენტებს შორის.

- ანონიმური ყუთის გახსნის ფარგლებში, გაუმჯობესდა სტუდენტების მოსასვენებელი სივრცე. დაიდგა წყლის დისპენსერი, განთავსდა პუფები.
- საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზებით იმართება დასაქმების ფორუმი, სადაც საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სტუდენტებიც ესწრებიან. აღნიშნული ფორუმის ფარგლებში სტუდენტებს ეძლებათ საშუალება რომ უშაულოდ გაესაუბრონ პოტენციურ დამსაქმებლებს.

მეოთხე სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაბამისი მტკიცებულებები:

- ✓ ფორმალური აღიარების მასალები: ფორმალური განათლების აღიარების ოქმი #01-22, სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები.
- ✓ სტუდენტებთან შეხვედრის მასალები: პრეზენტაცია, ფოტოები
- ✓ ბრენდირებული მასალა, კოლეჯის სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია. (სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/photo/?fbid=635494725037335&set=a.200099708576841).
- ✓ საახალწლო საჩუქრების გადაცემის ფოტო მტკიცებულებები.
- ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები. საქართველოს უნივერსიტეტიდან პუფების მიღება-ჩაბარების აქტი.

დეტალური ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ

N	ამოცანა	ღონისძიებები	9	10	11	12	1	2	3	4	5	6	7	8	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირები	მატერიალური რესურსი	ფინანსური რესურსი	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	კომენტარი	მტკიცებულება
შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში																							
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 აგვისტოს 15/22 ოქმით																							
სტრატეგიული მიზანი 1. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება																							
1	**2022 წლის მიღებისთვის ახალი სტუდენტების ჩარიცხვა**	მიღების გამოცხადება, გასაუბრება აპლიკანტებთან, საბუთების მიღება, ჩარიცხვა, გაცნობითი სახის შეხვედრა (სტუდენტებისთვის საჩუქრების გადაცემა)	v	v	v										ჩარიცხული სტუდენტები	დირექტორი, მოადგილე რეესტრის იურისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი.	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	სახელფასო ფონდი				მიღების ფარგლებში, მოეწყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტებთან	ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებელი
2	**ახალი პროგრამების დამატება**	ბაზრის კვლევა და ანალიზი, შეხვედრა ორგანიზაციებთან და მათი მოთხოვნების გაანალიზება. პროგრამების ადაპტირება განაცხადის წარდგენა ხარისხის ცენტრში სამი ახალი პროგრამისთვის: 1. ღონისძიების ორგანიზება 2. საოფისე საქმე 3. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი	v	v	v	v									ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება	დირექტორი, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	6687				კოლეჯმა დაიმატა სამი პროგრამა საოფისე საქმე, ღონისძიების ორგანიზება, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი	ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების დოკუმენტი
3	**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობის გაზრდა**	განაცხადის წარდგენა ხარისხის ცენტრში სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების გაზრდის მიზნით: 1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები 2. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება 3. ვებტექნოლოგიები	v	v	v	v									ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	6687				კოლეჯმა გაზარდა ადგილების რაოდენობა 3 პროფესიულ პროგრამაზე	ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების დოკუმენტი

4	**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება**	პროგრამების განხორციელების დაგეგმვა, ცხრილების შემუშავება	v	v	v										ცხრილები, განრიგები	სასწავლო პროცესის მენეჯერი	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	სახელფასო ფონდი					შემუშავებული სასწავლო ცხრილები
		სასწავლო დოკუმენტაციის, სააუდიტორიო დატვირთვის, მასწავლებელთა დატვირთვის მონიტორინგი	v	v	v		v	v				v	v	v	შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტები, კალენდარული გეგმები	სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერი						შეიქმნა შეფასების ინსტრუმენტების ბანკი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა 50-მდე ვალიდური შეფასების ინსტრუმენტი, სამი პროგრამის ფარგლებში	ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო პროცესზე დასწრების კითხვარები, კალენდარული გეგმები
		ახალი პრაქტიკის ობიექტების მოძიება პროგრამების ფარგლებში	v	v	v										გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;	დირექტორი, დირექტორის მოადგილე						კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმები ახალ პარტნიორებთან, ღონისძიების ორგანიზების, საოფისე საქმისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით	გაფორმებული მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
5	**ახალი მომზადება/გადამზადების პროგრამების შერჩევა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და შერჩეული მომზადება-გადამზადების პროგრამების**	შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი	v	v	v										კვლევის ანგარიში	დირექტორი, დირექტორის	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	სახელფასო ფონდი					ახალი პროგრამების დამატების ფარგლებში ჩატარდა შრომის ბაზრის მოკვლევა, გაიმართა შეხვედრა დამსაქმებლებთან, ბაზრის ტენდენციებზე სამსჯელოდ	მოკვლევის ანგარიში, დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში, დასწრების ფურცელი
		პარტნიორი კომპანიების მოძიება	v	v	v										გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;			სახელფასო ფონდი						გაფორმებული მემორანდუმები

	დამატება /უფლებ ის მოპოვება	სამი მომზადება გადამზადების პროგრამის შექმნა და ხარისხის ცენტრში წარდგენა უფლების მოპოვების მიზნით: 1. ფრონტ ენდ დეველოპერი-მომზადება 2. ფრონტ ენდ დეველოპერი - გადამზადება 3. ბექ-ენდ დეველოპერი - მომზადება		v	v										მოპოვებული უფლება მომზადებისა და გადამზადების 3 პროგრამაზე განხორციელებისთვის	ხარისხის მენეჯერი, დირექტორი, მოადგილე ,ადამიანური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი		2445				დაწესებულებამ განხორციელების უფლება მოიპოვა მომზადებისა და გადამზადების 4 პროგრამაზე	ბრძანება უფლების მოპოვებაზე
6	**ხარისხის შიდა სისტემების მუდმივი გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება**	პროფესიული პროგრამების გადახედვა/გაუმჯობესება		v	v										პროგრამებში ცვლილების აქტები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	სახელმწიფო ფონდი				ვებტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში ცვლილება შევიდა სასწავლო გეგმაში	ცვლილება სასწავლო გეგმებში პროგრამების განვითარების მიზნით; უნარების სააგენტოში გაგზავნილი ინიცირების წერილი
		შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ჩატარება					v	v							ვერიფიკაციის დასკვნა, მონიტორინგის შედეგები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით						3 პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ვერიფიკაცია	ვერიფიკაციის დასკვნის ანგარიში, ცალკეული დასკვნები,
სტრატეგიული მიზანი 2. კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარება																							
6	**მატერიალური რესურსების სრულყოფა და მუდმივი განახლება**	საგანმანათლებლო რესურსების შევსება/გაუმჯობესება	v	v	v										საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი	ბიბლიოთეკარი, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით		საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალური				განახლდა საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი	განახლებული კატალოგი

																		რესურსი					
7	**უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა**	სტუდენტებისა და პერსონალის ინსტრუქტაჟები (პირველად გადაუდებელი დახმარება, ხანძარსაწინააღმდეგო)						v					v		ინსტრუქტაჟის თემატიკა, ამსახველი ფოტოები, დასწრების ფურცელი	შრომის უსაფრთხოების, დაცვის სამსახური და ექიმი	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია				ჩატარდა შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი კოლეჯის პერსონალისთვის 2023 წლის მიღების ფარგლებში იგეგმება სტუდენტებისთვის და მასწავლებლების თვის შრომის უსაფრთხოებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ ტრენინგების ჩატარება	ფოტო მასალა პერსონალის მიერ ხელმოწერილი ჟურნალი
		ინსტრუქტაჟების ჩატარება სტრუქტურული ერთეულების სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით						v					v			შრომის უსაფრთხოების მენეჯერი						გამომდინარე იქიდან რომ კოლეჯში არსებული პროფესიები არ არის მაღალი რისკის შემცველი, ჩატარდა ზოგადი ინსტრუქტაჟი	
8	**ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა**	ფინანსური ანგარიშების მომზადება და წარდგენა											v	v	მომზადებული და წარდგენილი ფინანსური ანგარიშები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამფუძნებელთა კრება	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	ბეიკერტილი საქართველოს უნივერსიტეტის დაფინანსებით					

9	**დაწესებულების პერსონალის მოძიება/განვითარება**	პერსონალის (მათ შორის მასწავლებლების) განვითარებისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება/პროფესიული გადამზადება				v			v	v					დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, ტრენინგების ამსახველი მასალები, სამსახურებრივი ბარათები	ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	4000				შიდა რესურსით ჩაუტარდა ტრენინგი მასწავლებლებს ასევე, გარე პროვაიდერების მიერ ჩატარდა ტრენინგი მასწავლებლების თვის „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში აღნიშნული თანხა არ გახარჯულა, მასწავლებლებს ტრენინგები ჩაუტარდათ საქართველოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით	ტრენინგის მასალები, დასწრების ფურცლები, კორესპონდენცია უნარების სააგენტოსთან
		კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოების შუალედური და წლიური ანგარიშები, ანალიზი და შეფასება	v	v	v								v	v	ანგარიშები, შეფასებები	დირექტორის მოადგილე		სახელფასო ფონდი					ანაგირეშები
		კოლეჯის პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის ჩატარება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და აქტივობების დაგეგმვა					v	v							კვლევის ანგარიში; რეაგირების შედეგები	HR მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი დირექტორის მოადგილე						ხარისხის სამსახურისა და ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ ჩატარდა პერსონალისა და მასწავლებლების კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევები	კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის ანგარიში
სტრატეგიული მიზანი 3. კოლეჯის პოპულარიზაცია																							
10	**ადგილობრივ და საერთაშორისო**	პოტენციური პარტნიორების მოძიება და მუდმივი კომუნიკაცია გრძელვადინი თანამშრომლობისთვის	v	v	v	v									გაგზავნილი და მიღებული	დირექტორის მოადგილე	უზრუნველყოფილია კოლეჯის	1500				კოლეჯმა გააფორმა ახალი მემორანდუმები 9 პარტნიორთან,	გაფორმებული მემორანდუმები

	ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება/განვითარება														კორესპონდენცია;		მატერიალური რესურსით					მათ შორის ერთ-ერთია საერთაშორისო პარტნიორი, ნორვიჩის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი	
11	**დაწესებულების პოპულარიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა**	ბრენდირებული მასალის დამზადება	v	v									v	v	დამზადებული ბრენდირებული მასალა	დირექტორის მოადგილე	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	500				2022 წლის მიღების ფარგლებში დამზადდა ბრენდირებული მასალა (ჩანთები, მაისურები)	ბრენდირებული ჩანთები, ბრენდირებული მაისურები
		სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა	v												მინიმუმ ერთ სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობა	დირექტორი, მოადგილე		სახელფასო ფონდი				კოლეჯის წარმომადგენელი მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემაში, სადაც საუბრობდა კოლეჯისა და პროფესიული განათლების შესახებ	სატელევიზიო გადაცემის ბმული
		პროფესიული პროგრამების კატალოგის განახლება		v	v				v	v					განახლებული კატალოგი	დირექტორის მოადგილე						განახლდა და გაუმჯობესდა კოლეჯის 2023 წლის კატალოგი	ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი
სტრატეგიული მიზანი 4. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება																							
12	**პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის სტუდენტური სერვისების განვითარება**	ახალი სტუდენტების/მსმენელების ინტეგრაციის ხელშეწყობა			v										შეხვედრების ამსახველი ფოტოები, პრეზენტაცია	დირექტორის მოადგილე	უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური რესურსით	2000				ჩატარდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტებთან სადაც გაეცნენ საკუთარ უფლებებს, მოვალეობებს	პრეზენტაცია, ფოტო მასალა
		პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის				v				v	v	v			აქტივობების ამსახვე	სასწავლო პროცესის მენეჯერი,		საქართველოს				გაუმჯობესდა სტუდენტების მოსასვენებელი	ფოტო მასალა, ვიზუალური

		კურიკულუმგარეშე ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;												ლი ფოტო და ვიდეო მასალა	დირექტორის მოადგილე		უნივერსიტეტის დონაცია				სივრცე. დაიდგა წყლის დისპენსერი, განთავსდა პუფები. სტუდენტებისთვის დაიგზავნა საახალწლო საჩუქრები საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა დასაქმების ფორუმი, სადაც საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სტუდენტებიც დაესწრნენ	დათვალიერების შედეგები